

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი I. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ამ კანონის მიზნებისათვის, "თანამდებობის პირში" იგულისხმებიან შემდეგი პირები: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის წევრი; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები; საქართველოს; სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი; საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი; საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი; საქართველოს შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟოს, საბაჟო სამმართველოს, საბაჟოს ხელმძღვანელები; საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციების ხელმძღვანელები; საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე; ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარე, გამწვევი კომისიის რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის სამხედრო კომისრები; საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მოადგილე პრეზიდენტის წევრი, დეპარტამენტის, რეგიონალური და ქალაქის ბიუროს ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების ხელმძღვანელები; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი; საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი; საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი; ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თავმჯდომარე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი; საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები; რაიონის და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები; მოსამართლე; საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე; საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს, სამსახური ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, რეგიონული გრანსპორტის პროკურორი, რეგიონული სამხედრო პროკურორი, სასჯელთა აღსრულებისას კანონების დაყვამე შეღამხედველობის პროკურორი, საოლქო, რაიონის და ქალაქის

(თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის პროკურორები; საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არსეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი